დიმიტ[რი] ონ[იკაშვილ]ის დარდები

როდის მობრძანდებით, ჩემო ბატონო,
ფეხ-ქვეშ გაგეშალო ფიანდაზადა!..
სავათნავა

ეს რა ცეცხლში ჩავარდნილვარ, სადა ვარ?
გული მეწვის, სასიკვდილოდ მზადა ვარ?
ძაღლსავითა ვჰგდივარ ქუჩაში,
ვჰყარაულობ ერთის ვისმეს კარებსა,
ერთს მოაჯირს, ორ პატარა ფანჯარას:
ეგებ ჩემი მზე იქიდან აღმოჩნდეს!..
ეშხისაგან გონება გამოცლილსა,
მზე ბრწყინავს, თუ თოვლი მოდის არ მესმის!
განა ღამით ძილი არის-ღა სადმე,
ანუ დღისით განსვენება სულისა?
ან ვიღასა აგონდება სადილი,
ანუ ღამით აბანოში ლხინები?..
ნაბად-გახვეული ვჰგდივარ ქუჩაში:
ვოხრავ, მაგრამ ჩემი დარდი ვის ესმის?
ვინც გაივლის, მკითხავს: აქ რას აკეთებ?
დ შენ რას ნაღვლობ, მე რას გიშლი, რა გინდა?
მითილი ხარ, თორემ არა მკითხავდი,
მოდი ამ ვირს ეშხზე ელაპარაკე!
ჩემი დარდი, თვალის ჩინი აქ არის:
ერთი მითხარ, მე სად უნდა წავიდე?
თვალის ჩინო, დროა რომ შემიბრალო:
მომარჩინო ამდენ დავიდარაბას!
გამობრწყინდე მოაჯირზე მზესავით,
პირ-დავემხო, მიწას მადლით ვემთხვიო!
გამაგონო სირინოზის ხმა შენი,
სიყვარულის სიტყვით გული მილხინო!
აბა, შემომხედე ლამაზ თვალებით,
ნახე, როგორ გავდიდკაცდე, გავმეფდე?
მაშინ მნახავ თავი ცამდის ამეღოს.
ჩემზე მეტად არსად არვინა ჰსჩანდეს!
შემიძლია მაშინ ვებრძო ქვეყანას,
შენი ეშხი იმდენს მამცემს ძალასა!
ქუდ ჩაკეცით, ყელზე ჩით-მერდინითა,

რა ქევ-ქევით გავსწევ ორთაჭალისკენ
მტკვრის პირს, ჩარხთან, თავის ლაზათებითა,
სუფრა გაშლით, დამხვდნენ იქ დარდიმანდნი:

იქა მნახონ, რა შევქმნილვარ, ვინა ვარ,
რა მადანი მიპოვნია ბედისა
საკინძ ჩამოხსნილი, ხელში ჯამითა
სიხარულით ვსვამდე შენ სადღეგრძელოს!

1860 წ.